



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 053/18<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გურამ ლექვინაძე (სტუდენტი)

### ფაქტები:

ფიზიკურმა პირმა (შემდგომში - „საჩივრის ავტორი/კლიენტი“) მიმართა ეთიკის კომისიას თავისი რწმუნებულის (შემდგომში - „ადვოკატი“) დისციპლინური სახდელის დაკისრების მოთხოვნით. საჩივრის ავტორი მის წინააღმდეგ დაწყებულ სამოქალაქო დავაში დახმარების მიზნით დაუკავშირდა ადვოკატს, რომელიც იყო მისი ბიძაშვილის მეუღლე - გაუფორმა მინდობილობა და გააცნო საქმის დეტალები. ადვოკატმა საჩივრის ავტორს წარმომადგენლობა გაუწია პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელშიც კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო შედეგი დადგა. ადვოკატი გახლდათ მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი, რის შესახებაც კლიენტმა ეთიკის კომისიისადმი მიმართვის შემდეგ გაიგო. ადვოკატმა და საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში ახსნა-განმარტების წარმოდგენისას აღნიშნეს, რომ კომუნიკაციის დროს ხშირად აყენებდნენ ერთმანეთს სიტყვიერ შეურაცხყოფას, მათ შორის მიმართავდნენ ერთმანეთს გინებით დედის მისამართით.

### პროცესუალური ისტორია:

საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. კოლეგიამ დაადგინა რომ ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო კვალიფიციურობის, კეთილსინდისიერებისა და კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულებები. ხოლო თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი გარკვეული სარგებლის მიღების მოტივით, კლიენტის ინტერესების დაცვის დროს, კლიენტის ინტერესებზე მალა დააყენა მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები და თუ ადვოკატი ემუქრებოდა საჩივრის ავტორს, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ნდობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი.

### სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად სამართლის დარგში სპეციალიზაციის ქონის გარეშე, ადვოკატის მომსახურება არ ითვლება კლიენტის კვალიფიციურ მომსახურებად. აღნიშნულ შემთხვევაში ეთიკის კომისიამ არ განიხილა, რამდენად კვალიფიციურად განახორციელა წარმომადგენლობა ადვოკატმა. კოლეგიამ გაითვალისწინა თავად ის ფაქტი, რომ ადვოკატს არ ჰქონდა შესაბამის სფეროში კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა, რაც ქმნის იმის რისკს, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი. ამასთანავე საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში ადვოკატი, რომელსაც არ ქონდა მინიჭებული ლიცენზია შესაბამისი მიმართულებით, ვერ შეძლებდა წარმოდგენა საჩივრის ავტორის ინტერესები, რაც წარმოშობდა სხვა ადვოკატის მოძიებისათვის და მის მიერ საქმის მომზადებისათვის დამატებითი დროისა და რესურსების ხარჯვის აუცილებლობას. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატის ლიცენზიის ქონა, არ ქონის დადასტურების მტკიცების ტვირთი თავად ადვოკატს აწევს.

<sup>1</sup> გადაწყვეტილება 053/18, თარიღი 24.12.2018.

<https://gba.ge/pdf/5d838d186b2d1.pdf/053.18%20%20gaftrxileba-%2024.12.2018.pdf>

კომისიამ დაადგინა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტის დარღვევა. ადვოკატი ნებისმიერი სამართალწარმოების დროს უნდა იცავდეს მაღალ პროფესიულ სტანდარტს და არ უნდა ლახავდეს კლიენტის ან სხვა პირის უფლებებს. ადვოკატის მიერ კლიენტის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფით ილახება არა მხოლოდ ამ კონკრეტული კლიენტის უფლებები, არამედ ზიანი ადგება ადვოკატის პროფესიულ ღირებულებებს და ხელი ეშლება ამ პროფესიის წარმომადგენლებისადმი საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის დამკვიდრებას. კოლეგიამ გაითვალისწინა მხარეთა ახსნა-განმარტებები ერთმანეთის მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით მიმართვის თაობაზე და მიაჩნია, რომ ადვოკატის გინება კლიენტის მისამართით არღვევს ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.

#### **დასკვნა:**

ეთიკის კომისიამ განსაზღვრა, რომ ადვოკატმა დაარღვია „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ 8.5. მუხლი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტი. დისციპლინური სახდელის ფორმად ადვოკატისათვის განისაზღვრა, გაფრთხილება.